სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

39899589794723

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230540530

რეგისტრაციის თარიღი

28.04.2023 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ედიბერიძე
მისამართი: თბილისი, ქუჩა მტკვარი №4, ბინა 20
ტელეფონი: 244 40 40

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას ოცდასამი წლის ოცდარვა აპრილს, მე ეკატერინე ედიბერიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ქუჩა მტკვარი N4, ბინა 20 მომმართა აკაკი მოწონელიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პიროვნება მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პასპორტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად აკაკი მოწონელიძემ (დაბ. 27.08.1992წ, მის: ოჩამჩირე ს. ახალდაბა, პ/ნ 62005027192, პ/ნ 20AC52480, გაც. 12.10.2021წ) მომმართა. მან განაცხადა, რომ შპს „ჯეო-ოლიმპი"-ს (ს/კ 405089835) დირექტორი. უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი B15050689. მე დავრწმუნდი მიმნდობი პირის ქმედუნარიანობაში, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს, მანაც წაიკითხა და განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, აკაკი მოწონელიძემ (დაბ. 27.08.1992წ, მის: ოჩამჩირე ს. ახალდაბა, პ/ნ 62005027192, პ/ნ 20AC52480, გაც. 12.10.2021წ), როგორც შპს „ჯეო-ოლიმპი"-ს (ს/კ 405089835) დირექტორმა, ამ მინდობილობით გიორგი არევაძეს (დაბ. 17.11.1993წ. პ/ნ 35001117385) და შპს „ტეტრიქსი"-ს (ს/კ 406213663) დირექტორს დავითი ჩიკვაიძეს (დაბ. 01.12.1993წ. პ/ნ 45001033231), ორივეს ერთად და თითოეულს ცალცალკე მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

მინდობილი პირები უფლებამოსილნი არიან იყვნენ ჩემი როგორც შპს „ჯეო-ოლიმპი"-ს (ს/კ 405089835) დირექტორის წარმომადგენლები საზოგადოების საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფელი თხინვალა, იოსებ კვჭაყმაძის ქ. N2, ს/კ 01.72.58.053.005.

აწარმოონ სამშენებლო - საპროექტო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობები, იყვნენ შპს „ჯეო-ოლიმპი"-ს (ს/კ 405089835) დირექტორის წარმომადგენლები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან საკრებულოში, გამგეობაში, საკუთრების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიაში, ქ. თბილისის ურთიერთობაში, მერიის სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში და ზედამხედველობის სამსახურში, საჯარო რეესტრში, ნებისმიერი დაწესებულების არქივში, მიიღონ და წარადგინონ დოკუმენტები, ნებართვები, შეათანხმონ პროექტები, დააზუსტონ ფართები, შეიტანონ ცვლილებები, კორექტირებები პროექტში, წარადგინონ აზომვითი ნახაზები, აწარმოონ შესაბამისი საქმე, ხელი მოაწერონ და შეასრულონ ყველა ის პროცედურა, რაც დაკავშირებულია აღნიშნული მოქმედებების
შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) თვის ვადით და ძალაშია 2023 წლის 28 ივლისის ჩათვლით.

მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროს არქივში და ერთვის ამონაწერის სამეწარმეო რეესტრიდან, დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 30.00 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 5.00 (ხუთი) ლარი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ 5.40 ლარი.

ხელმოწერა აკაკი მოწონელიძე

ნოტარიუსი ეკატერინე ედიბერიძე

